Academia Europaea-ს თბილისის ცენტრის (ჰაბის) 2021 წლის წლიური ანგარიში

წარმოგიდგენთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის (ჰაბის)“ მიერ 2021 წელს განხორციელებული პროექტების ანგარიშს.

1. **გამორჩეული სემინარების სერია - „გზაჯვარედინები“**

მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა პანელური სესია, საჯარო სემინარების ციკლიდან **„გზაჯვარედინები“,** რომელთა მიზანი გახლავთ მეცნიერების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია, დროისა და სივრცითი ბარიერების მიღმა იდეების გაზიარება, ასევე, სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეწყობა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის. გლობალური პანდემიის პირობების გათვალისწინებით, აღნიშნული პანელური სესია ჩატარდა ელექტრონული პლათფორმის გამოყენებით.

1.1 პანელური სესია „ფედერალიზმის ფიასკო კავკასიაში (1918-1921)“.

გამორჩეული სემინარების სერიის ფარგლებში, 2021 წლის 30 მარტს, გაიმართა პანელური სესია, სახელწოდებით: **„ფედერალიზმის ფიასკო კავკასიაში (1918-1921)“.** იმის გათვალისწინებით, რომ 2021 წელს, ამიერკავკასიის რეგიონის დემოკრატიული რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვიდან 100 წელი შესრულდა, ეს საკითხი ძალიან აქტუალური გახდა არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. აღნიშნულ პანელურ სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს შემდეგმა მეცნიერებმა: ბექა კობახიძემ - ოქსფორდის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი), ადრიან ბრისკუმ - ჩარლზის უნივერსიტეტი პრაღაში (ჩეხეთი), სარა სლეიმ - კემბრიჯის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი) და ტიმოთი ბლაუველტმა - საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭო (აშშ).

პანელური სესია მოიცავდა კავკასიაში ფედერალიზმის არსებობის, სამხრეთ კავკასიის პირველი დემოკრატიული რესპუბლიკების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და არსებობის არასრულ სამწლიან პერიოდს, მათი გამოცდილების საკითხებსა და სამომავლო პერსპექტივებს. აღნიშნულ სესიაში საუბარი გაიმართა კავკასიის ხალხთა მიერ ფედერალიზმის ცნებისა და კონცეფციის ჩამოყალიბების პირველ მცდელობებზე, როდესაც 1874 წ. ქართველი, სომეხი, დაღესტნელი და რუსი სტუდენტების ჯგუფმა მოაწყო კონფერენცია ჟენევის უნივერსიტეტში დამოუკიდებელი კავკასიის ფედერაციის საკითხთან დაკავშირებით. ეს გახლავთ ერთ-ერთი ადრეული ისტორიული მაგალითი, როდესაც კავკასიის ხალხთა შორის, ფედერალიზმის ცნებამ ხმამაღლა გაიჟღერა. ეს ცნება შემორჩა მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, პოლიტიკურ აქტივისტთა შორის. მომხსენებლებმა ასევე ისაუბრეს იმაზე, რომ ფედერალიზმი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მრავალი პოლიტიკური ლიდერისთვის გახდა, 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის კონტექსტში, რეალპოლიტიკის ალტერნატივა. პანელურ სესიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რისი ნათელი ილუსტრაციაც გახლდათ, ვირტუალურ სივრცეში სტუმრების დიდი ოდენობა.

2. **ესეების კონკურსი სკოლის მოსწავლეებისთვის.**

ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბმა, როგორც მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის ნაწილმა, დააარსა ყოველწლიური სასკოლო-საგანმანათლებლო კონკურსების ციკლი **„სკოლა - მეცნიერების საწყისი“**, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში სამეცნიერო კვლევის უნარების განვითარებას ცოდნის სხვადასხვა დარგში.

ციკლის პირველი კონკურსის თემა შეეხო გელათის აკადემიას, როგორც ევროპის ერთ-ერთ უძველეს საგანმანათლებლო და სულიერ-ინტელექტუალურ ცენტრს. კონკურსის სამიზნე აუდიტორია გახლდათ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების IX - XII კლასების მოსწავლეები.

2021 წლის 17 მაისს გამოცხადებული ესეების კონკურსი ითვალისწინებდა, გელათის აკადემიის შესახებ არსებული სამეცნიერო მასალების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეების მიერ ესეს დაწერას, სადაც ყურადღება გამახვილდა შემდეგ საკითხებზე:

- გელათის აკადემიის დაარსების ისტორიული წინაპირობები; პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება XI-XII სს-ის საქართველოში და მის სამეზობლოში;
- სკოლები და განათლების ცენტრები ანტიკურობასა და შუა საუკუნეებში;
- გელათის აკადემიასთან დაკავშირებული ისტორიული პირები და მოღვაწეები;
- გელათის აკადემია - შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერა: „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი - სასწავლებელი ყრმათათვის“;
- გელათის ლიტერატურული პროდუქცია;
- გელათი, როგორც ქართული თვითმყოფადი კულტურის სიმბოლო, გელათის მემკვიდრეობა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლეებმა აწყურის, გორის, ლაგოდეხის, მარტვილის, ოზურგეთის, ქარელის და სხვა მუნიციპალიტეტების სკოლის მოსწავლეებმა. ნაშრომების შეფასება რამდენიმე ეტაპად განხორციელდა. კონკურსის ფარგლებში მონაწილეებმა მოისმინეს გელათის აკადემიის შესახებ ორი ლექცია, რომლებიც წაიკითხეს ქ-ნმა დამანა მელიქიშვილმა (ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) და ბ-ნმა როლანდ ისაკაძემ (ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიური ნაკრძალის მმართველობის ხელმძღვანელი).

ნაშრომების შეფასება განხორციელდა სამ ეტაპად: I ეტაპი - წარმოდგენილი ესეების გადარჩევა; II ეტაპი - შერჩეული ესეების ავტორებთან გასაუბრება; III ეტაპი - კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენა.

კონკურსის დასკვნით შეხვედრაზე, ექსპერტებისგან შემდგარმა კომისიამ გამოვლინა ფინალისტები და გამარჯვებულები, რომელთაც დაჯილდოვების ცერემონიაზე გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები და სერტიფიკატები.

3.საერთაშორისო საზაფხულო სკოლა

ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის ორგანიზებითა და ხელშეწყობით, ჩატარდა ორი საერთაშორისო საზაფხულო სკოლა, ქართული ხელნაწერებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით.

3.1 **„ქართული ხელნაწერი“.**

მიმდინარე წლის 15-25 ივლისს, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, Academia Europaea-ს თბილისის ჰაბის ხელშეწყობით, გაიმართა მე-6 საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული ხელნაწერი“. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს ქართველოლოგიური კვლევევების, ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობის შესწავლის მდიდარი გამოცდილება აქვს. საერთაშორისო საზაფხულო/სეზონური სკოლები ცენტრში აკუმულირებული ცოდნისა და გამოცდილების ახალგაზრდა ქართველი და უცხოელი მკვლევარებისათვის გაზიარების შესანიშნავი საშუალებაა. სკოლა გათვალისწინებულია ქართული ისტორიისა და კულტურის, განსაკუთრებით კი ხელნაწერი მემკვიდრეობის, შესწავლით დაინტერესებული როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მკვლევრებისათვის. სკოლის მიზანია ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია, ქართული ხალნაწერის, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების პროდუქტის, მრავალმხრივობის აქცენტირება, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის – ქართული დამწერლობის – საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებისა და ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების ხელშეწყობა; კორნელი კეკელიძის, ილია აბულაძის და ელენე მეტრეველის მიერ დამკვიდრებული ქართველოლოგიური სამეცნიერო ტრადიციების გაგრძელების ხელშეწყობა. საზაფხულო სკოლის პროგრამა უნიკალურია. სასწავლო მოდულების შინაარსი მოიცავს ხელნაწერთმცოდნეობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა ძირითად სფეროს. სკოლის მიმართ დიდ ინტერესს მოწმობს აპლიკანტთა დიდი რაოდებობაც. წლევანდელი საზაფხულო სკოლა გაიმართა ლიუვენის კათოლიკურ უნივერსიტეტთან (ბელგია) თანამშრომლობით. სკოლის თანაორგანიზატორი იყო ლიუვენის უნივერსიტეტის საპატიო რექტორი, პროფესორი ბერნარ კული. პანდემიური სიტუაციის გათვალისწინებით სკოლა ჩატარდა ჰიბრიდული სახით - უცხოელი მონაწილეების უმეტესობა ლექციებს ვირტუალურ სივრცეში ესწრებოდა.

3.2 **„ტექნოლოგიის მომავალი ლიდერები“**

მიმდინარე წლის 23-30 აგვისტოს ევროპის აკადემიის თბილისის ჰაბის ინიციატივითა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიის - ჯეოლაბის თანაორგანიზატორობით, განხორციელდა პროექტი: საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ტექნოლოგიის მომავალი ლიდერები“. ერთობლივი პროექტის ფარგლებში, მონაწილეებს საერთაშორისო გამოცდილების მიღების უნიკალური შესაძლებლობა მიეცათ. საზაფხულო სკოლის კურსები შემუშავდა გამოცდილი ლექტორების მიერ და თეორიული ცოდნის გარდა, პრაქტიკულ სემინარებსაც მოიცავდა. გარდა ამისა, საერთაშორისო საზაფხულო სკოლამ ქართველ და ევროპელ თინეიჯერებს, საშუალება მისცა გაეცნოთ ერთმანეთი, გაეზიარებინათ შეხედულებები და

კულტურული მრავალფეროვნებები. საერთაშორისო საზაფხულო სკოლა მოიცავდა შემდეგ მოკლევადიან კურსებს:

Graphic design - Adobe Photoshop

Graphic design - Adobe illustrator

UI/UX design - web design

UI/UX design - Mobile design

Unity

Technical and Creative conceptualisation

STEM activities using microcontroller

Front end web development HTML, CSS

აღნიშნული კურსი ორიენტირებული გახლდათ შედეგზე, რაც თავის მხრივ გულისხმობდა თანამედროვე ტექნოლოგიების მიმართულებით ცოდნის კონსტრუირებას და მონაწილეთათვის ქმედითი, დინამიური და ფუნქციური ცოდნის გადაცემას.

პანდემიიდან გამომდინარე, საზაფხულო სკოლის სემინარები გაიმართა ვირტუალურ სივრცეში Google classroom-ის პლათფორმაზე.

საზაფხულო სკოლისადმი დიდი ინტერესს მოწმობს აპლიკანტთა და დაინტერესებულ პირთა დიდი რაოდენობა. მონაწილეებს შორის იყვნენ თინეიჯერები ავსტრიიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და რა თქმა უნდა, საქართველოდან.

2021 წლის 9 სექტემბერს გაიმართა დასკვნითი შეხვედრა, რომელიც მსოფლიოში შექმნილი პანდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, ელექტრონული პლათფორმის მეშვეობით ჩატარდა. მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი ნამუშევრები და შთაბეჭდილებები. თითოეული მონაწილე დაჯილდოვდა სერტიფიკატით.

4. **სამუშაო შეხვედრა ქუთაისში - „გელათის აკადემია - მეცნიერებისა და განათლების კერა, ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის“**

22-24 ოქტომბერს ქ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შენობაში Academia Europaea-ს თბილისის რეგიონულმა ცენტრმა პროექტის „გელათის აკადემია - მეცნიერებისა და განათლების უძველესი კერა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის” ფარგლებში - ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამ უნივერსიტეტის ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის თანამონაწილეობით - გამართა სამუშაო შეხვედრა. პროექტის მიზანია გააცნოს ფართო საერთაშორისო საზოგადოებას გელათის აკადემია როგორც ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი.

გელათის აკადემია, დაარსდა 1106 წელს გელათის მონასტერთან (სოფ. გელათი, დასავლეთ საქართველო) დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის ინიციატივითა და ხელშეწყობით. ეს იყო ფართო მაშტაბის ჩანაფიქრი, რომელმაც საქართველოში მოუყარა თავი იმ დროს ბიზანტიის იმპერიისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის სხვადასხვა კულტურულ კერებში

მოღვაწე ინტელექტუალურ ძალებს. გელათის აკადემია გახდა თავისი დროის ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საღვთისმეტყველო-სამეცნიერო და საგანმანათლებლო ცენტრი, მასთან არის დაკავშირებული შემდგომი ორი საუკუნის მანძილზე საქართველოს რელიგიურ-კულტურული მიმართულება და პოლიტიკური ორიენტაცია. შესაბამისად, გელათი შეიძლება იქნას განხილული როგორც სიმბოლო ნაციონალური, თვითმყოფადი კულტურისა, რომელიც, ამავე დროს, დიდი იკუმენის ორგანული ნაწილია.

Academia Europaea-ს თბილისის ცენტრის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრა, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, ჩატარდა ჰიბრიდული სახით. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების წამყვანი მეცნიერები:

- ზაზა სხირტლაძე, პროფესორი, თსუ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი (თბილისი);
- დამანა მელიქიშვილი, თსუ პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებული და ნამდვილი წევრი (თბილისი);
- ანა ხარანაული, პროფესორი, თსუ ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი (თბილისი);
- ლევან გიგინეიშვილი, თსუ პროფესორი; ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (თბილისი);
- თამარ ოთხმეზური, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი (თბილისი);
- მაგდა სუხიაშვილი, მუსიკოლოგიის დოქტორი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორი (თბილისი);
- გიორგი ჭეიშვილი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (თბილისი).
- მერაბ კეზევაძე, ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორი (ქუთაისი).
- ნონა ქარციძე, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე (ქუთაისი);
- ციცინო მუმლაძე, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერი და ძველნაბეჭდი წიგნების კოლექციების განყოფილების კურატორი (ქუთაისი).
- აკაკი გოლეთიანი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, გელათის სასულიერო აკადემია (ქუთაისი).

შეხვედრას ვირტუალურად ესწრებოდნენ:

- როლანდ ისაკაძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ქუთაისის ისტორიულ-არქეოლოგიური ნაკრძალის მმართველი, ქ. ქუთაისის ა.

წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი (ქუთაისი);

- მარიკა დიდებულიძე, პროფესორი, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის“ პროექტების კოორდინატორი (თბილისი);
- ეკატერინე გედევანიშვილი, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი (თბილისი);
- მაგდა მჭედლიძე, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის პროფესორი (თბილისი).

შეხვედრაში ასევე მონაწილეობდა ბიზანტიის ხელოვნების ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი ენტონი ისტმონდი, ს. კურტოლდის სახელობის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი).

შეხვედრის მონაწილეთა შორის იყვნენ თსუ რექტორი გიორგი შარვაშიძე, Academia Europaea-ს თბილისის ცენტრის აკადემიური დირექტორი დავით ფრანგიშვილი.

პროექტი „გელათის აკადემია - მეცნიერებისა და განათლების უძველესი კერა ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის” დაიწყო 2020 წლის გვიან შემოდგომაზე Academia Europaea-ს თბილისის ცენტრის ინიციატივით. გასული პერიოდის განმავლობაში გაიმართა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, სადაც პროექტში მონაწილე მეცნიერების საინიციატივო ჯგუფი მსჯელობდა ამ მაშტაბური პროექტის სხვადასხვა ასპექტზე. ამჯერად ქ. ქუთაისში გამართული შეხვდრის მთავარი თემა იყო პროექტის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი - ორენოვანი, ქართული და ინგლისური ე. წ. “სამაგიდო წიგნი” გელათის და გელათის აკადემიის შესახებ. ამ წიგნის მიზანია თავი მოუყაროს გელათის და გელათის აკადემიის შესახებ დღევანდელ დღემდე სხვადასხვა მიმართულებით წარმოებულ სამეცნიერო კვლევებს და ამ მასალის შეჯამებისა და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე წარმოაჩინოს გელათის აკადემიის მნიშვნელობა შუა საუკუნეების აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს კულტურულ ცხოვრებისა და ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის (ისტორია, ფილოსოფია, ფილოლოგია, არქიტექტურა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა) განვითარების ისტორიისათვის.

სამუშაო შეხვედრაზე შეკრებილმა მეცნიერებმა მოისმინეს ორი მოხსენება, სადაც წარმოდგენილი იყო მომავალი წიგნის ორი მონაკვეთის პირველი, სამუშაო ვერსია. გელათის სამგალობლო სკოლის შესახებ ისაუბრა მაგდა სუხიაშვილმა, ხოლო გელათელი მოღვაწეების თხზულებებისა და თარგმანების შემცველი ხელნაწერების კოდიკოლოგიურ და პალეოგრაფიულ თავისებურებებზე ისაუბრა თამარ ოთხმეზურმა. ამ მოხსენებათა განხილვა დაეხმარა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფს უკეთ განესაზღვრა მომავალი წიგნის საერთო ხასიათი და მოთხოვნები ავტორებისადმი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეცნიერებათა პანევროპული აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი“

გახლავთ ის სივრცე, რომელიც რეგიონში უზრუნველჰყოფს მეცნიერული ცოდნის გენერირებას, გავრცელებას, პოპულარიზაციას, გამოჩენილი მეცნიერებისა და მათი ახალგაზრდა კოლეგების ურთიერთთანამშრომლობას, ევროპული სტანდარტებისა და მექანიზმების გაზიარებას.